



სოციალური ეპონომიკა  
XXI საუკუნის აქტუალური პრბლემები. №3

# სამაგილო ნიზნი საქართველოს ეკონომიკაზე



ქართულმა ეკონომიკურმა საზოგადოებამ, მეცნიერ-ეკონომისტებმა, სახელმწიფო მოხელეებმა და სტუდენტებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს. სტამბურად გამოიცა აკადემიკოს ვლა-

დიმერ (ლადო) პაპაგას წიგნი „საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები”<sup>1</sup>, რომელიც სიღრმისეულად ასახავს გარდამავალ ეტაპზე საქართველოში განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ძლიერ და სუსტ მხარეებს, მთავარ გამოწვევებს და რეკომენდაციებს რეფორმების შემდგომი გაღრმავების მიმართულებით. თავისი ფორმითა და შინაარს-

<sup>1</sup> ვლადიმერ (ლადო) პაპაგა, თამარ თაფლაძის და არჩილ გვერდის მონაწილეობით, თბილისი, გამომცემობა „ინტელექტი”, 2015, 239 გვ.



ით სარეცენზიო წიგნი მნიშვნელოვანი პოზიტიური თავისებურებებით და მეცნიერული სიახლეებით ხასითდება.

მეთხეველს წიგნის პირველსავე გვერდზე თვალში ხვდება, რომ იგი ეძღვნება მიწიერი ცხოვრებიდან უდროოდ წასული ჩვენი კოლეგაბის, სახელოვანი მეცნიერ-ეკონომისტების გია თოფურიას, ზურაბ სოსელის, ნოდარ ულუმბერაშვილისა და გიორგი წერეთლის ნათელ სოფნას, რომლებმაც მნიშვნელოვანი წელილი შეიტანეს არა მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, არამედ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის ურთულეს ისტორიულ ეტაპზე - ეროვნული საბანკო საქმის, ფინანსური კონტროლის, ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური მეცნიერების ორგანიზაციული საფუძვლების ფორმირება-განვითარების საქმეში. თანამებროლთა და კოლეგების მიმართ ასეთი ადამიანური, თბილი დამოკიდებულებისა და პატივისცემის საჯაროდ გამოხსატვა დღევანდელ ქართულ სამეცნიერო სფეროში ახალი და მისასალმებელი მიდგომაა. ვისურვებდი ამის ტრადიციად ქვევას, რადგან მასწავლებლებისა და კოლეგებისადმი პატივისცემა ჩვენი ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი და გამოკვეთილი იმდიგაზორია და მას გაფრთხილება და განვითარება სჭირდება.

დღევანდელ საქართველოში ეკონომიკის სფეროში რაოდენობრივად უფრო მეტი წიგნი გამოცემა ვიდრე კომუნისტური რეჟიმის მკაცრი საგამომცემლო ზედამხედველობის დროს. თუმცა, ამ რაოდენობრიობაში აშკარად ჭარბობს სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა და მცირე ადგილს იყავებს მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები. ესეთი ვითარება განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით. პირველი, გარდამავალ ეტაპზე ეკონომიკური პროფილის სასაწავლო ლიტერატურა, განსხვავებით საბუნებისმუშაველოსაგან, თითქმის მოლიანად მოვცელებული აღმოჩნდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა დაჩქარებული წესით ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნის მოცანა. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია წამყვანი მეცნიერ-ეკონომისტების ინტელექტუალური ძალების ამ სფეროში გადართვა. მეორე მხრივ, სამეცნიერო სფეროს უნიჭო რეფორმირების („ჩარეცხვის“ პოლიტიკის) შედეგად დაიხურა თითქმის კველა წამყვანი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სადაც ტრადიციულად იქმნებოდა ფასეული მეცნიერული პროდუქტი, რომელთა უმტკიცი ნაწილი ქვეყნდებოდა და საჯაროდ ხელმის-

აწვდომი ხდებოდა. გარდამავალ ეტაპზე ხელისუფლებამ თანდათანობით დაკარგა მოთხოვნილება სიღრმისეულ ეკონომიკურ გამოკვლევებზე და იგი კმაყოფილდებოდა (და დღესაც ასე) ე. წ. „არასამთავროებების“ ხედაპირული ომატური ანალიტიკური კვლევებით, რომლებიც გამოუცდელობისა და ეკონომიკური თეორიის არასიღრმისეული ცოდნის გამო ვერ უზრუნველყოფენ დროში გაძლებად კომპლექსური და ფუნდამენტური კვლევების ჩატარებას. აპარატის ვ. ააპავას სარეცენზიო წიგნის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან გარკვეულწილად შეავსო ის დიდი ვაკუუმი, რომელიც დღეს შეიმჩნევა ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურის პუბლიკაციის კუთხით.

სარეცენზიო ნაშრომის მესამე მნიშვნელოვან თავისებურებად, ჩვენი აზრით, უნდა ჩაითვალოს მასში კვლევითი და სასწავლო კომპონენტების კომპლექსურად და დაბალანსებულად წარმოდგენა. ცნობილია, რომ ორიგინალური სასწავლო ლიტერატურის შექმნის საფუძვლია მოცემულ სფეროში მეცნიერული კვლევის შედეგების ანალიზი, შეფასება და განზოგადება. წიგნის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან თავი მოუყარა როგორც მის მიერ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკური რეფორმირების პროცედებზე შესრულებულ გამოკვლევებს, ასევე ამ კუთხით ქართველი და უცხოელი მკაფიერების ნაშრომებს და მათი ხელახლი ანალიზის, შეფასებისა და გააზრების საფუძველზე შექმნა ახალი ორიგინალური მეცნიერული პროდუქტი, რომელსაც მეცნიერულ-თეორიულთან ერთად დიდი სასწავლო-გამოყენებით დანიშნულება გააჩნია.

ნაშრომის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალის ისიც, რომ იგი სრულიად თავისუფალია პოლიტიკური და პარტიული იდეოლოგიების ზეგავლენისაგან. მკაფიერებისათვის პოლიტიკისაგან ეკონომიკის ასეთი მკაფიო გამიჯვნა ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენდა, რადგან განსახილველ პერიოდში ეკონომიკა მეტწილად პოლიტიკის მძევალი იყო. წიგნიდან მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორი მდლიან განერიდა პარტიულ-პოლიტიკურ შეფასებებს და დისკუსიებს და შემოფარგლა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმებით და ეკონომიკური პოლიტიკით, რაც მნიშვნელოვნად გაზარდა ნაშრომის მეცნიერულობის ხარისხი.



დინამიურობა, კომპლექსურობა და დროში უწყვეტობა სარეცენზიო წიგნის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად უნდა ჩაითვალის. კვლევა იწყება საქართველოს სახელმწიფო ორგანიზო დამოუკიდებლობის აღდგენის საწყისი პერიოდიდან, მოიცავს პოლიტიკურად და ეკონომიკურად ცვალებად ყველა როტულ და გამოწვევებით სავსე ეტაპს და მთავრდება დღევანდელობით. უფრო მეტიც, წარსულთან და დღევანდელობასთან ერთად მოიცავს მომავლის პროგნოზულ თრიენტირებსაც და ლოგიკურ კავშირში ქმნის კვლევის ერთიან ჯაჭვებს.

ნაშრომის კიდევ ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ავტორის ხანგრძლივი კვლევის, ფიქრისა და ანალიზის შედეგია. ასეთი მრავალწახნაგოვანი ნაშრომი, რომელიც კომპლექსურად მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში განხორციელებული რეფორმების ერთობლიობას, ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია დაიწეროს. მას წინ უძღვდა ავტორის მიერ თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში შესრულებული გამოკვლევები, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის პრესტიჟულ გამოცემებში.

და ბოლოს, წიგნისათვის დამახასიათებელ მნიშვნელოვანი თავისებურებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ისტორიული დანიშნულება. საუბარია იმაზედ, რომ წიგნი მომავალში უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მკვლევარებს, რადგან მასში ქრონოლოგიური სიზუსტითა წარმოდგენილი ქვეყნის თითქმის 30 წლიანი რეტროსპექტივის მანძილზე განხორციელებული რეფორმების ძლიერი და სუსტი მხარეები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობით რეფორმისტული ტრაექტორიის ანალიზისა და შეფასების ჩატარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მისი ავტორი წლების განმავლობაში მთავრობის წევრის, ეკონომიკის მინისტრისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის რანგში უშუალოდ იყო ჩატარებული ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირების პროცესში და კარგად ფლობს იმ დროისათვის სახელისუფლებო სამხარეულში მიმდინარე კონკრეტულ პროცესებს. ამან კი ბუნებრივია ნაშრომს მეტი სიღრმისეულობა და დამაჯერებლობა შესძინა.

წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი მკითხელს აცნობს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის პრაქტიკაში აპრობირებულ სხვადასხვა მოდელებს, რომელთაგან აქცენტს აკეთებს პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელ „შოკური თერაპიის“ და გრადუალისტურ მიდგომებზე. კომპლექსური რეფორმების გატარების მიზანთა სისტემის ანალიზიდან გამომდინარე ავტორი მიდის სრულიად დამაჯერებელ დასკვნამდე, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი დამთავრებულია. თუმცა, იქვე შენიშვნას, რომ განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებისაგან საქართველოში შეიქმნა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი (გვ. 40). საინტერესო ავტორისეული შეფასებები, რომელიც შეეხება გარდამავალი პერიოდის საწყისი ეტაზზე პოლონურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ რეფორმებს. ავტორი ასკვნის, რომ პოლონური მოდელის სრულად გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან საქართველოს იმ დროისათვის არ გააჩნდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი აუცილებელი ინსტიტუციები, თუმცა დროში გაწელილმა შოკურ თერაპიის მოდელმა მოგვიანებით მაინც უზრუნველყო ეკონომიკური ვარდნის მნიშვნელოვანი აღმავლობით შეცვლა. ჩვენი აზრით, ზემოაღნიშნული დასკვნები მნიშვნელოვანი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული მიგნებების მატარებელია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, აკად. ვ. პაპავას სარეცენზიო ნაშრომი აპოლიტიკური ხასიათისაა, რისი დამადასტურებელი სანიმუშო მაგალითია, საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთის დფოლტის ზეგავლენის შეფასებასას, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციის (რომ საქართველოს შეწყვიტა ლარის კურსის რეგულირება) შეცდომად აღიარება და ქვებნის ხელისუფლების მიერ ფაქტობრივად გატარებული საწინააღმდეგო გადაწყვეტილების დადებითად შეფასება. ავტორს საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყველაზე წარმატებულ დამსახურებად მიაჩნია ხელშეწობა საფინანსო სისტემის შექმნასა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის დამყარებაში. ამავე დროს, იგი აკადემიური სიდინჯით და დამაჯერებლობით ავლენს იმ შეცდომათა ჯგუფს, რომლებიც იქნა დაშვებული ამ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (პოლიტიკური შეცდომები, მეთოდური ხასიათის შეცდომები, მეთოდოლოგიური შეცდომა, დაბნეულობა შესძინა).



ბით გამოწვეული შეცდომები, ფასტარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომა, ტრაფარეტული მიღგომით გამოწვეული შეცდომები, ლობირებით გამოწვეული შეცდომა, ტაქტიკური შეცდომა, კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომა). რა თქმა უნდა, ადვილი როდი იყო ამ შეცდომების გამოვლენა და დასაბუთება, თუმცა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წიგნის ავტორმა ამ რთულ და საქმაოდ სარისკო საქმეს ბრწყინვალედ გაართვა თავი. ისე, ეს შეცდომები გასაკვირი ნამდვილად არაა, რადგან როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები ყველა ქვეყანაში ნებით თუ უნებლიერ უშვებენ სხვადასხვა სახის შეცდომებს. საქმე მასშია, რომ მათ ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გამო არ გააჩნიათ სათანადო ბერკეტები და მეთოდიკა სრულყოფილად გამოავლინონ ამ თუ იმ ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი. ისინი ყველა ქვეყნის მიმართ იყენებენ იმ ზოგად ტრაფარეტულ ერთიან მეთოდოლოგიას, რომელიც დამკვიდრებულია მათი მრავალწლიანი საქმიანობის პრაქტიკაში. თუმცა, როგორც აკადემიკოსი ვ. პაპავა აღნიშნავს, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და იგი მომავალშიც ასეთად უნდა დარჩეს, რასაც არ შეიძლება არ დავთანხმოთ.

ჩემი აზრით, სარეცენზიო წიგნის ყველაზე საინტერესო, გაბედული და მეცნიერული მიგნებებით მდიდარი კომპონენტია ის ნაწილი, რომელიც შეეხება პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების დუალისტური ხასიათის ანალიზსა და შეფასებას. ავტორი იყენებს რა სვორ-ანალიზურ მიდგომას, შეულამაზებლად და ობიექტურად ალაგებს „ვარდისფერი რევოლუციით“ მოსული ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმების ძლიერ და სუსტ მხარეებს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ერთი მხრივ, ხელისუფლებამ უზრუნველყო ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესება, ფინანსური წესრიგის დამყარება, ადრე დაგროვილი სახელფასო და საპენსიო დაგალიანებათა დაფარვა, საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა, გადასახადებისა და ტარიფების შემცირება, ლიცენზირების გამარტივება, ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება, კრიმ-

ინალისა და კორუფციის მინიმუმამდე დაყვანა და სხვა. მეორე მხრივ, პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების ზედმეტად ინტეგრაციამ ხელი შეუწყო არადექტრატული გადაწყვეტილებების მიღებას, რაც გამოიხატა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესუსტებაში, სტრატეგიული ობიექტების მეტწილად ერთი ქვეყნის - რუსეთის ხელში მოქცევაში, კორუფციული არასაბიოუჯეტო-არალეგალური ფონდების შექმნაში, სახელისუფლებო სტრუქტურების ძალაუფლების შეზღუდვაში, უაზრო დასაქმების პროგრამებზე საბიუჯეტო თანხების ხარჯვაში, მნიშვნელოვანი საჭირო ინსტიტუციების გაუქმებაში, კერძო საკუთრების ძალისმიერი მეთოდებით ჩამორთმევაში და სხვა. აკადემიკოსი ვ. პაპავა დადებითად აფასებს რა დასავლეთის როლს ქვეყანაში განხორციელებულ რეფორმებზე, სამართლიანად სვამს კითხვას - რაომ ხუჭავდა თვალს დასავლეთი?. აქ ავტორი მოკლედ და ლაკონიურად თვითონვე პასუხობს ამ კითხვაზე: „...დასავლეთი საბაზო ეკონომიკისა და დემოკრატიის ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს: ერთი თავისათვის, ხოლო მეორე ისეთი ქვეყნებისათვის, როგორიც საქართველოა“ (გვ. 120-121). ამას ამბობს არა უბრალო რიგითი მოქალაქე, არამედ აკადემიკოსი, საზოგადო მოდგაწე, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, რომელიც წლების განმავლობაში უშეალოდ იყო ჩართული დასავლეთან ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკის ფორმირებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში. ეს მეცნიერული გაბედულობის, პრინციპულობისა და ობიექტურობის თვალსაჩინო და მისაბაძი მაგალითია. მე კი დავამატებდი, რომ ძლიერთა მხრიდან ორმაგი სტანდარტით მოქმედება მუდამ იყო, ახლაც არის და მომავალშიც იქნება, ასეთია მცირე ზომის ქვეყნების ხედრი (“ის, რაც ეპატიება იუბილერს, არ ეპატიება ხარს”).

წიგნის სათაურში ავტორს გამოტანილი აქვს სიტყვა „ფსევდორეფორმები“. ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით არსებითად განსხვავდება „შეცდომებისაგან“. უშეცდომი რეფორმა და მით უმეტეს ეკონომიკური რეფორმა ბუნებაში არ არსებობს. პროგრესისაკენ მიმართულ რეფორმებს რიგი ეგზოგენური და ენდოგენური, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების გამო მუდამ ახლავს ხარვეზები და ეს ბუნებრივია. მათი გამოსწორება შესაძლებელია, მაგრამ რეფორმად მონათლული ფსევდოანუყალბი, მოჩვენებითი, ცრუ რეფორმა ქვეყნისათვის გამოუსწორებელი ზიანის მომტანია.



წიგნში „ვარდების ხელისუფლების” მიერ განხორციელებული მრავალრიცხოვანი ფსევდორეფურმის მაგალითი (სიღარიბის გაზომვისა და შემცირების ხელოვნური ხრიყები, სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირება და სხვ) სიღრმისეულადაა გაანალიზებული და შეფასებული. ავტორმა მისთვის ჩვეული მოზომილობით ამ პოპულისტურ, მოჩვენებით რეფორმებს ფსევდორეფურმები უწოდა, არადა, მათ უფრო უხეშად შეიძლება ეწოდოს „ბლეფი რეფორმები”, რადგან ისინი მიმართული იყო გრძელვადიან პერიოდში არა ქვეყნის ინტერესებისაკენ, არამედ მოკლევადიან რეჟიმში პიარის, ტრაბახისა და ტყუილების გზით მოქმედი ხელისუფლების განდიდებისაკენ, აფერული მეთოდებით არაფრისმთქმელი საერთაშორისო რეიტინგების მოპოვებისაკენ.

სარეცენზიო წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაომობილი გლობალურ ეკონომიკური კრიზისისა და ომისშემდგომ საქართველოში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების კვლევას. გლობალურმა კრიზისმა, რუსეთის სამხედრო აგრესიამ და ეკონომიკურ პოლიტიკაში პოსტრევოლუციური მთავრობის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა საქართველოს ეკონომიკაზე სინერგიულად იქონია ნეგატიური გავლენა, და შესაბამისად, მნიშვნელოვნად დაეცა ეკონომიკური ზრდის დინამიკა. რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოსათვის, როგორც რუსეთის აგრესის შედეგად დაზარალებული ქვეყნისათვის, 4,5 მლრდ აშშ დოლარის დახმარება, საქართველოში კრიზისი უფრო მძიმე ფორმით გამოვლინდებოდა. ომიდან გამომდინარე საქართველოსათვის უცხოური ფინანსური დახმარების ეფექტს აკად. ვ. პაპავამ „ომის პარადოქსი“ უწოდა, რაც გამოიხატება იმაში, რომ „...ომი უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადებითი ეფექტიც ახლავს“ (გვ. 168). ასეთი ფორმულირება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი მეცნიერულ მიგნებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ომთან დაკავშირებულმა მსხვილმა საგარეო ფინანსურმა დახმარებამ საქართველო იხსნა არა მხოლოდ კრიზისის გაღრმავებისაგან, არამედ ხელი შეუწყო იმ დროისათვის ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას, რომელიც სუსტი სახელისუფლებო მენეჯმენტისა და ობიექტური საგარეო ფაქტორების ზემოქმედების გამო დღეისათვის ერთ-ერთ მწვავე მონებარულ საფრთხედ იქცა.

წიგნის ავტორი განსაკუთრებულ ყურა-

დღებას ამახვილებს პოსტსაბჭოთა საქართველოსა და რუსეთს შორის შორის ეკონომიკური ურთიერთობების საკითხებზე. აანალიზებს საქართველოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგე საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს: სამანეთო ბანკოტების მიღების პრობლემა, აფხაზეთის პრობლემა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს მოგვიგნებით შესვლა, რუსეთის სავალუტო-საფინანსო (1998 წ.) საქართველოზე ნეგატიური გავლენა, რუსეთის მიერ ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის ბაზრის ჩაკეტვა, პრობლემები დაკავშირებული ე.წ. „ნულოვანი ვარიანტის“ ხელშეკრულებასთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან და სხვა. აღნიშვნული მწვავე და სადისკუსიო საკითხები წიგნში განხილულია უკომპრომისოდ და ობიექტურად იმ დადებითი და უარყოფითი ასაქექტების მკაფიო ჩვენებით, რომელიც დამასახიათებელი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის.

და ბოლოს, აკადემიკოსი ვ.პაპავა მკითხველის უურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკის პროგნოზულ ორიენტირებზე, მის შესაძლო განვითარების სცენარებზე. ცხადია, დღევანდებულ მსოფლიოში არსებული ეკონომიკის ტურბულენტური მდგომარეობიდან და საქართველოს მძიმე ეკონომიკური გამოწვევებიდან გამომდინარე შეეძლებელია ცალსახა ოპტიმისტურ პროგნოზებზე საუბარი. გამომდინარე აქედან, ავტორი გვთავაზობს აქტიური ხასიათის მრავალვარიზე სცენარებს, რომელებიც ძირითად გამომდინარეობენ 2014 წელს ხელმოწერილ ევროპავშირთან ასოცირების ხელშეკრულებიდან. წიგნში მოცემულია ეკონომიკური რეფორმების მიმართულებით განსახორციელებელი რეკომენდაციების საკმაოდ ფართო და საინტერესო ჩამონათვალი, რომელთა პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს და დაბაქტირებს საქართველოს ევროპავშირთან გაწევრიანების პროცესს.

სარეცენზიო წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, მე მხოლოდ ერთი სასურველობის ხასიათის მოსახრება შეიძლება გამოვთქვა: წიგნის დასახელება შედგება ორი ურთიერთლოგიკურად დაკავშირებული კომპონენტისაგან, რომლთაგან თითოეული სრულად და ამომწურავადა გამოკვლეული. თუმცა, მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ეკონომიკის



## ახალი თიზები

კუთხით უფრო მეტი სტატისტიკურ-ანალიტიკური ინფორმაციის წარმოდგენა, წიგნის ხელახლი გამოცემისას, მის გამოყენებით მხარეს კიდევ უფრო გაზრდის.

მთლიანობაში აკადამიკოს ვ. პაპავას სარეცენზიო წიგნი „საქართველოს ეკონომიკა რეფორმები და ფსევდორეფორმები“ თანამედროვე ქართული ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. საკვლევი თემის აქტუალურობა, პოსტსაბჭოურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების კომპლექსური და სიღრმისეული შესწავლა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ობიექტური ანალიზი და შეფასება, საყურადღებო მეცნიერული სიახლეები და მიგნებები, რომლებსაც გააჩ-

ნიათ თეორიულთან ერთად დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სარეცენზიო წიგნის ავტორმა ბრწყინვალე გაართვა თავი მის მიერ დასახულ მიზნებს და ამოცანებს და მნიშვნელოვნად გაამდიდრა თანამედროვე ქართული ეკონომიკური მეცნიერება.

**იაშა მმსხია**  
**ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,**  
**პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ**  
**მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,**  
**საქართველოს სახელმწიფო პრემიის**  
**ლაურეატი მეცნიერებისა და**  
**ტექნიკის დარგში**



სოციალური ედონომიკა  
XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. №3

# სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მესამე ნომრის დამატება)  
ლექციების კურსი